დანართი №2

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის დასახელება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

„ბიზნესის ადმინისტრირება“ საბაკალავრი საგანმანათლებლო პროგრამა
„ბიზნესის ადმინისტრირება“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი
2024 წლის 11 და 12 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2024 წლის 10 დეკემბერი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 13

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან 13

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 31

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 43

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 49

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 62

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245427337
დაწესებულების ტიპი	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მეთიუ კიტჩინგი, ბუკინგემშირის ნიუ უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი გაბედვა, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანი ქვათაძე - ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა მჭედლიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული	აკრედიტებული

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება-განახლების საფუძველზე.

კლასტერულ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი „ბიზნესის ადმინისტრაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 180 ECTS კრედიტს და იგი ასე ნაწილდება:

1. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს 140 ECTS კრედიტს, საიდანაც:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 109 ECTS კრედიტს;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 11 ECTS კრედიტს;
- კონცენტრაციის სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 20 კრედიტს.

2. თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს 40 ECTS კრედიტს, საიდანაც:

- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 34 ECTS კრედიტს;
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 6 ECTS კრედიტს.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ორ არჩევით კონცენტრაციას - "ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი" და "საზღვაო ბიზნესი". 20 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ორი კონცენტრაციიდან ერთ-ერთი. კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელება იწყება მე-5 სემესტრიდან.

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია და მოიცავს როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტს. საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტები შეადგენს 81 ECTS კრედიტს. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა არის 4 ECTS კრედიტი. პროგრამა ითვალისწინებს კონცენტრაციას "საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტი", რომლის მოცულობა შეადგენს 30 ECTS კრედიტს და

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

აერთიანებს სასწავლო კომპონენტებს კონკრეტული თემატიკის მიხედვით. საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომელიც კვლევის საფუძველზე ხორციელდება, ეთმობა 30 ECTS კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის ოქტომბერში, დაწესებულების ორივე კორპუსში–ბათუმსა და ფოთში. ადგილზე ვიზიტის დროს აკრედიტაციის ჯგუფმა შეხვედრები გამართა თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და რესურსები. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულებას პროცესში ღია და პროდუქტიული ჩართულობისთვის, მათ შორის ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებებისთვის და გუნდის მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული სტუმართმასპინძლობისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  პირველი სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მეორე სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მესამე სტანდარტი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

  მეოთხე სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მეხუთე სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციით განსაზღვრულ ვადაში პროგრამას შესთავაზეს რიგი ცვლილებები, რომელთა მიზანი იყო აკრედიტაციის ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამაში; ასევე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" განსაზღვრული მოთხოვნების საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირება, მისი შემდგომი განვითარება და სწავლის შედეგების მიღწევის გზების დახვეწა.

2022 წელს პროგრამამ გაიარა არაგეგმიური მონიტორინგი (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება, MES 5 22 0000628037, 12/06/2022). 2022 წლის 28 ივნისს საზღვაო აკადემიაში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამა საბოლოოდ შეფასდა, როგორც

"შესაბამისობაშია" სტანდარტებთან. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება (MES 4 22 0001172275, 27/09/2022) შეწყვეტილიყო ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვის ადმინისტრაციული პროცესი.

კლასტერული აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში "ბიზნესის ადმინისტრირების" მოქმედ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილებები. კერძოდ:

საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების გამოცემის საფუძველზე (ბრძანება #72/N, 2024 წლის 28 თებერვალი) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, პროგრამაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა წინადადება 180-კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერული აკრედიტაციის შესახებ. ფაკულტეტის საბჭომ დაეთანხმა სამუშაო ჯგუფის წინადადებას.

კონცენტრაციის ნაწილში განხორციელდა არსებითი ცვლილებები. მიმდინარე პროგრამის ორი კონცენტრაციის - "საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოგისტიკა" და "პორტების მენეჯმენტი" - საფუძველზე ჩამოყალიბდა კონცენტრაცია "საზღვაო ბიზნესი", რომელშიც გათვალისწინებული იქნა მოწინავე საერთაშორისო გამოცდილება. გარდა ამისა, დარგის განვითარების ტენდენციების, შრომის ბაზრის მოთხოვნების, ასევე უცხოური მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით, პროგრამას დაემატა ახალი კონცენტრაცია "ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი".

- **რეკომენდაციები**

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაციის განთავსება დაწესებულების ვებგვერდზე და სხვა საინფორმაციო არხებზე. (2,1)
- რეკომენდებულია გაზარდოთ პროგრამებში სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი (2.2)
- რეკომენდებულია გაზარდოთ სტუდენტთა წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც სტუდენტებს პროგრამის შემუშავებისა და შერჩევის პროცესებში უფრო აქტიურად მონაწილეობის საშუალებას მისცემს და მათი პოზიცია არ შემოიფარგლოს მხოლოდ კითხვარების მეშვეობით მიღებული უკუკავშირით. (3,1)
- რეკომენდებულია გააფართოვოთ პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობები, უზრუნველყოფილ იქნას მეტი პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობა, განსაკუთრებით ინგლისური ენის ცოდნისა და საზღვაო უნარ-

ჩვევების მიმართულებით, რათა უკეთ მოამზადოთ სტუდენტები პროფესიული როლებისთვის. (3,1)

- რეკომენდებულია გადაიხედოს სტუდენტთა ნაშრომებში პლაგიატის დასაშვები ზღვარი. (3,2)

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (MBA) რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს "პრაქტიკის" კურსი (2.2)
- რეკომენდებულია შემუშავდეს ეფექტური მექანიზმები, რაც გააძლეირებს მაგისტრანტთა კვლევით უნარებს და მოხდება მათი დემონსტრირება სამაგისტრო ნაშრომებში (2.2)

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია ჩატარდეს შრომის ბაზრის მიზანმიმართული კვლევა, რათა მოხდეს მოთხოვნადი კომპეტენციების იდენტიფიცირება და მიღებული შედეგები გამოყენებული იქნას საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან, რაც კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობასა და დასაქმების შესაძლებლობებს გაზრდის. (1,1)

- სასურველია ჩაატარდეს უფრო ღრმა ანალიზი და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს კავშირი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. ეს უკეთ დაასაბუთებს ამ პროგრამების აქტუალობასა და მნიშვნელობას თანამედროვე შრომის ბაზრის კონტექსტში. (1,2)

- სასურველია გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლების, ჩართულობა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში. მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებლებთან უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას დარგის მოთხოვნებთან და კურსდამთავრებულთა აღჭურვას იმ უნარებითა და კომპეტენციებით, რომლებიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. (1,2)

- სასურველია განახლდეს ინგლისური ენის სასწავლო რესურსები (1.5)

- სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან; ხელი შეეწყოს სტუდენტთა ჩართულობას საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში. (2,2)

- სასურველია შეიმუშაოთ მექანიზმი სტუდენტური სამეცნიერო პუბლიკაციების წახალისებისთვის, მაგალითად, საუკეთესო კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობის მიცემით. (2,2)

- სასურველია გააძლიეროთ სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, მაგალითად, სასწავლო პროცესში მეტი ინტერაქტიული და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. (2,3)

- სასურველია გააძლიეროთ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეფასების თანამედროვე მეთოდებში, განსაკუთრებით ონლაინ და ჰიბრიდული სწავლების პირობებში. (2,4)

- სასურველია წაახალისოთ საერთაშორისო აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამებში (4.2)

- სასურველია გააგრძელდეს მუშაობა ქართულენოვანი სასწავლო რესურსების გაზრდის მიმართულებით (4.4)

- სასურველია დაასრულოთ ბათუმის კორპუსში ბიბლიოთეკის გაფართოება (4.4)

- პროგრამების სამიზნე ნიშნულების შეფასების და ანალიზის შედეგების შესახებ დაინტერესებული მხარეების ცოდნის გაღრმავების მიზნით, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის მონაცემების უფრო ინტენსიურად გამოყენება.

რჩევები ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისათვის:

- სასურველია გააძლიეროთ სამეცნიერო/კვლევითი უნარების კომპონენტი საბაკალავრო პროგრამაში, მაგალითად, საბაკალავრო ნაშრომის შემოღებით ან კვლევითი პროექტების დამატებით (2.2)

რჩევები ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისათვის:

- სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს დაამატოთ სამოტივაციო წერილის წარდგენის ან გასაუბრების ჩატარების მოთხოვნა. (2,1)

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
    - მკაფიო ნიშა ქვეყნის სტრატეგიულ ლანდშაფტში, რაც განპირობებულია სახელმწიფო მიერ საზღვაო დარგის განვითარებაში ჩადებული ინვესტიციებით.
    - მიზნობრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები, რაც გამოიხატება შენობებში და სმარტ დაფებში და ა.შ. ჩადებული ინვესტიციებით.
    - ინგლისური ენის შესწავლის მიმართულებით გაწეული მნიშვნელოვანი ძალისხმევა

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

დაწესებულებას არ გამოუთქვამს შენიშვნები კომისიის ანგარიშში მოყვანილი ფაქტობრივი სიზუსტის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება:
2. კლასტერული შეფასება

სტანდარტის კომპონენტი:	**შეფასების მიდგომები:**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიზნები ავსებენ ერთმანეთს და აჩვენებენ ლოგიკურ პროგრესს. საბაკალავრო პროგრამა აძლევს სტუდენტებს ცოდნისა და უნარების ღრმა საფუძველს, რომელიც ამზადებს მათ დაბალი და საშუალო რგოლის მენეჯერული პოზიციებისთვის. სამაგისტრო პროგრამა, თავის მხრივ, ავითარებს უფრო მაღალი დონის ცოდნასა და კომპეტენციებს, რაც სტუდენტებს ამზადებს მაღალი რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობისთვის. ამ პროგრამების განმასხვავებელი ნიშანია მათი სპეციალიზებული კონცენტრაციები, რომლებიც შეესაბამება საზღვაო აკადემიის მისიას. ბაკალავრიატში ყურადღება გამახვილებულია ბიზნესის კონკრეტული სფეროების სიღრმისეულ შესწავლაზე, მაგისტრატურაში კი - საზღვაო ლოგისტიკის სპეციალიზაციაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)

საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია მომავალი ლიდერების აღსაზრდელად, რომლებიც კარგად არიან მომზადებული თანამედროვე ბიზნეს გარემოს გამოწვევებზე საპასუხოდ. პროგრამა უზრუნველყოფს კომპლექსურ განათლებას, რომელიც აერთიანებს როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ უნარებს. პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტები შეიძენენ მყარ ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლებში, შეისწავლიან ძირითად კონცეფციებსა და თეორიებს. სტუდენტები შეისწავლიან ბიზნესის მართვის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებს, რაც მათ რეალური გამოწვევების კომპლექსურ გადაჭრაში დაეხმარება. პროგრამის მიზნების შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა

პრაქტიკული უნარების განვითარებას. სტუდენტები ისწავლიან ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზს და კომპლექსური პრობლემების გადაჭრისთვის ინოვაციური მიდგომების გამოყენებას. გარდა ამისა, სასწავლო გეგმის ინტეგრალური შემადგენელი ნაწილია ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება, რაც სტუდენტებს წარმატებულ ლიდერებად ჩამოყალიბებაში ეხმარება.

პროგრამის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ყურადღება გამახვილებულია საზღვაო ბიზნესისა და ლოგისტიკის საკითხებზე. აღნიშნული სპეციალიზაცია კურსდამთავრებულებს აძლევს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას ამ სფეროებში, რაც მათ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს შრომის ბაზარზე. პროგრამა ასევე ხელს უწყობს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. პროგრამა ხელს უწყობს მუდმივი სწავლის კულტურას და აძლიერებს სტუდენტების ერთგულებას ეთიკური ღირებულებებისადმი. სტუდენტებს ხელს უწყობენ დაგეგმონ საკუთარი პროფესიული ზრდა, მუდმივად განაახლონ ცოდნა და დაიცვან ბიზნესის ეთიკური სტანდარტები.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის მთავარი მიზანია მრავალმხრივი, ეთიკური და კომპეტენტური ლიდერების მომზადება საზღვაო და ლოგისტიკის სექტორებისთვის, რომლებსაც ექნებათ უნარი იმოქმედონ გლობალურ და სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა MBA)

საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მომავალი ბიზნეს ლიდერები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან როგორც კომპლექსური თეორიული ცოდნით, ისე პრაქტიკული უნარებით. საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ისეა აგებული, რომ ქმნის მყარ საფუძველს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზღვაო ლოგისტიკას. პროგრამის პირველი მიზანია უზრუნველყოს სტუდენტები ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციური სფეროს სიღრმისეული და სისტემური გაგებით. ეს გულისხმობს მრავალმხრივი თეორიების, ცნებებისა და ფუნდამენტური პრინციპების შესწავლას, რომლებიც გამოიყენება კერძო, საჯარო და არაკომერციული ორგანიზაციებისთვის. დაწესებულების კონცეფცია არის ის, რომ ცოდნის ამგვარი ფართო ბაზა ამზადებს სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში სამუშაოდ.

პროგრამის მეორე მიზანი პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. პროგრამა ყურადღებას ამახვილებს კრიტიკულ აზროვნებაზე, რაც დინამიურ ბიზნეს გარემოში მთავარი მოთხოვნაა და საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ გააზრებული მენეჯერული გადაწყვეტილებები. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს

ცვლილებების მართვას, სტუდენტებს ასწავლის როგორც ცვლილებების საჭიროების ამოცნობას, ისე მათ ეფექტურ განხორციელებას.

პროგრამის მესამე მიზანი ფოკუსირებულია კონკრეტულად საზღვაო ლოგისტიკაზე. პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი ლიდერები, რომლებსაც ექნებათ სპეციალიზებული ცოდნა საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტში. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ინდუსტრიის კონკრეტული მახასიათებლების გააზრებას, არამედ მიმდინარე ტენდენციების ანალიზისა და შეფასების უნარსაც. სტუდენტებს განუვითარდებათ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარები და შეიძენენ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია დარგის მდგრადი განვითარებისთვის.

პროგრამის მეოთხე მიზანი ემსახურება კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამა მოტივაციას აძლევს სტუდენტებს, რომ განახორციელონ ინდივიდუალური კვლევითი პროექტები, რომლებიც ფოკუსირებულია როგორც კვლევის ჩატარებაზე, ისე შედეგების ნათელ და არგუმენტირებულ წარდგენაზე. უფრო მეტიც, პროგრამა ხაზს უსვამს აკადემიური ეთიკის დაცვის მნიშვნელობას, რაც აუცილებელია მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესანარჩუნებლად. ამ კომპლექსური მიდგომით, პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მრავალმხრივი, კრიტიკულად მოაზროვნე და მაღალზნეობრივი ლიდერები, რომლებსაც ექნებათ წარმატების მიღწევის უნარი როგორც ზოგად ბიზნესში, ისე საზღვაო ლოგისტიკის სფეროში.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას წინ უძღოდა შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი. დაწესებულებამ წარმოადგინა გლობალური შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზი, განსაკუთრებით დასაქმების ნიმუშები აშშ-ში, ევროკავშირში და გლობალურ კონტექსტში. დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პოსტპანდემიურ პერიოდში ბიზნეს სერვისები, ლოგისტიკა და საცალო ვაჭრობა წამყვან სექტორებად ჩამოყალიბდა.

ანალიზი ასევე განიხილავს შრომის ბაზრის ტენდენციებს საქართველოში, გამოყოფს ქვეყანაში მოთხოვნად პროფესიებს. თუმცა, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის მასშტაბური და სიღრმისეული ანალიზის მიუხედავად, დოკუმენტში მკაფიოდ არ ჩანს კავშირი პროგრამების მიერ განვითარებულ კომპეტენციებსა და შრომის ბაზრის კონკრეტულ მოთხოვნებს შორის. წარმოდგენილ ანალიზში არ ჩანს საკმარისი მტკიცებულება რამდენად შეესაბამება პროგრამის კომპეტენციები ბაზრის საჭიროებებს.

პროგრამა ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- შრომის ბაზრისა და

- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ვებ გვერდი https://bsma.edu.ge/
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია ჩატარდეს შრომის ბაზრის მიზანმიმართული კვლევა, რათა მოხდეს მოთხოვნადი კომპეტენციების იდენტიფიცირება და მიღებული შედეგები გამოყენებული იქნას საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან, რაც გაზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობასა და დასაქმების შესაძლებლობებს. (1,1)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არარის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამას აქვს ცხრა სწავლის შედეგი, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ამ შედეგების ანალიზი მიუთითებს, რომ ისინი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. სწავლის შედეგები გაზომვადია, რადგან ისინი ჩამოყალიბებულია ისეთი ფორმით, რაც იძლევა ობიექტური შეფასებისა და გაზომვის შესაძლებლობას. სწავლის შედეგები მიღწევადია პროგრამის დროსა და რესურსების ფარგლებში, რაც სტუდენტებს მათი რეალურად მიღწევის საშუალებას აძლევს. სწავლის შედეგები რეალისტურად ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც სტუდენტები პროგრამის დასრულების შემდეგ შეიძენენ. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის დონესა და სწავლის სფეროს მოთხოვნებს, რომლებიც ეფუძნება კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიურ წინსვლას და ქმნის მყარ საფუძველს სწავლის შემდეგ საფეხურზე განათლების გასაგრძელებლად. პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია სწავლის სფეროს მიხედვით განსაზღვრული თეორიული ცოდნა, მეთოდოლოგია და პრაქტიკულ მიდგომები, რომელიც ამზადებს სტუდენტებს შემდგომი აკადემიური და პროფესიული საქმიანობისთვის.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები როგორც ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრის ანალიზი იძლევა ვრცელ მონაცემებს გლობალური და ადგილობრივი ტენდენციების შესახებ, ის საკმარისად არ ასახავს მკაფიო, პირდაპირ კავშირს ამ ტენდენციებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი დეტალური ანალიზი იმის შესახებ, თუ როგორ პასუხობს სასწავლო პროგრამები და სწავლის შედეგები შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ მოთხოვნებს.

გარდა ამისა, ანალიზში არ არის კონკრეტულად მითითებული, თუ რომელი უნარები და კომპეტენციებია ყველაზე მოთხოვნადი შრომის ბაზარზე და როგორ გეგმავს პროგრამები მათ განვითარებას. ეს ხარვეზი ართულებს პროგრამების შესაბამისობის შეფასებას შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო საჭიროებებთან.

იმისათვის, რომ პროგრამამ შეინარჩუნოს აქტუალურობა, სწავლის შედეგები უნდა პასუხობდეს როგორც არსებულ, ისე მოსალოდნელ მოთხოვნებს შრომის ბაზარზე. ამისათვის აუცილებელია დამსაქმებლების მიერ მოთხოვნილი უნარებისა და კომპეტენციების

განვითარება. თუმცა, როგორც ეს 1.1 კომპონენტშია აღნიშნული, აკადემიის მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში სათანადოდ ვერ აჩვენებს ამ კავშირს.

დაინტერესებული მხარეები გარკვეულწილად ჩართულნი იყვნენ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში, რაც დასტურდება ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებით. პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს ამ შედეგების ეფექტურ კომუნიკაციას ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ასეთი ინკლუზიური მიდგომა ხელს უწყობს გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამამ შეინარჩუნოს აქტუალურობა სხვადასხვა მხარის მოსაზრებების გათვალისწინებითა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში ჩამოყალიბებულია სწავლის ცხრა შედეგი, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. სწავლის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, სწავლის შედეგები გაზომვადია, რადგან ისინი ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ შესაძლებელია მათი შეფასება და გაზომვა. ისინი ასევე მიღწევადია პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დროისა და რესურსების გათვალისწინებით, რაც რეალურად უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მათ მიღწევას. ამასთან, ისინი რეალისტურია, რადგან ასახავს გონივრულ მოლოდინებს იმ ცოდნისა და უნარების მიმართ, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის დონესა და სწავლის სფეროს მოთხოვნებს, რომლებიც ეფუძნება კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიურ წინსვლას და მყარ საფუძველს ქმნის სწავლის შემდეგ საფეხურზე განათლების გასაგრძელებლად. პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია სწავლის სფეროს მიხედვით განსაზღვრული თეორიული ცოდნა, მეთოდოლოგია და პრაქტიკულ მიდგომები, რომელიც ამზადებს სტუდენტებს შემდგომი აკადემიური და პროფესიული საქმიანობისთვის.

დაინტერესებული მხარეები გარკვეულწილად ჩართულნი იყვნენ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში, რაც დასტურდება გასაუბრებით. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პერსონალი უზრუნველყოფს ამ შედეგების ეფექტურ კომუნიკაციას ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამამ შეინარჩუნოს აქტუალურობა სხვადასხვა მხარის მოსაზრებების გათვალისწინებითა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- ვებ-გვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია ჩაატარდეს უფრო ღრმა ანალიზი და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს კავშირი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. ეს უკეთ დაასაბუთებს ამ პროგრამების აქტუალობასა და მნიშვნელობას თანამედროვე შრომის ბაზრის კონტექსტში. (1,2)
- სასურველია გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლების, ჩართულობა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში. მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებლებთან უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას დარგის მოთხოვნებთან და კურსდამთავრებულთა აღჭურვას იმ უნარებითა და კომპეტენციებით, რომლებიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. (1,2)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტირება, სამაგისტრო პროგრამა)	☑	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (უსდ) შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განახლების წესები (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 25 აპრილის №01-126 ბრძანებით). გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება აკადემიის სახელმძღვანელო დოკუმენტის - "საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება" (ND 2-F19) შესაბამისად. ეს პროცესი მოიცავს სამ ძირითად ეტაპს:

1. სწავლის შედეგების შეფასება;
2. სწავლის შედეგების ფორმულირება;
3. სწავლის შედეგების შეფასება, რომელიც გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას, ანალიზს და ინტერპრეტაციას.

შეფასება ხორციელდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სტუდენტების დავალებებისა და შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების ანალიზს.

არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს:

- სწავლის შედეგების შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებას;
- ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებას;
- სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვების ჩატარებას.

გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ეს რეკომენდაციები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და შესაძლოა გატარდეს ცვლილებები როგორც საგანმანათლებლო კომპონენტებში, ასევე მთლიან საგანმანათლებლო პროცესში მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, შემუშავებულია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო (BBA) და სამაგისტრო (MBA) პროგრამებში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც შედის შემდეგი კომპონენტები: სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული კურსების დასახელება, შეფასების სიხშირე, სამიზნე ნიშნულები და პასუხისმგებელი პირი.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი. პირველ რიგში ფასდება პროგრამის "დასრულების მაჩვენებლი"", რაც ასახავს პროგრამაზე

ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობრივ თანაფარდობას პროგრამის სრული ციკლის განმავლობაში. ეს ანალიზი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა შიდა და გარე მობილობა, სტუდენტის სტატუსის ცვლილება და უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩართულობა.

პროგრამის რაოდენობრივი მდგრადობა ასევე იზომება ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა თანაფარდობით. კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრება ანალიზდება შემაჯამებელი შეფასებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს სასწავლო კურსების/პროექტების შეფასებებს, მინიჭებული დიპლომის ტიპებს (წარჩინების თუ ჩვეულებრივი) და სტუდენტების GPA-ს

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს, კერძოდ იმას, თუ რამდენად საქმდებიან ისინი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ეს მონაცემები გროვდება არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით, მათ შორის კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების, სასწავლო პროგრამის ანალიზისა და სტუდენტთა უკუკავშირის მეშვეობით.

ყველა შეგროვებული მონაცემი მუშავდება და წარმოდგენილია დიაგრამებისა და პროცენტული მაჩვენებლების სახით, რაც ინფორმაციას ხდის თვალსაჩინოს და ადვილად გასაგებს. ასეთი კომპლექსური მიდგომა იძლევა პროგრამის წარმატების ეფექტური შეფასებისა და მისი შედეგების დასახულ მიზნებთან შესაბამისობის დადგენის საშუალებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ფორმულირება და შეფასება (ND 2-F19)
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განახლების წესი, 2024 წლის 25 აპრილი (ბრძანება №01-126).
- **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**
- **პროგრამის სწავლის შედეგების რუკა**

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განახლების წესის" შესაბამისად (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 25 აპრილის №01-126 ბრძანებით).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო ხარისხის "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის" მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 ECTS კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან: ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (140 ECTS) და თავისუფალი კომპონენტები (40 ECTS).

ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში სტუდენტმა უნდა აითვისოს 109 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები, 11 ECTS არჩევითი სასწავლო კურსები და 20 ECTS კონცენტრაციის სასწავლო კურსები. თავისუფალი კომპონენტები შედგება 34 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსებისა და 6 ECTS არჩევითი სასწავლო კურსებისგან. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტებს მიიღონ როგორც სპეციალობის ღრმა ცოდნა, ასევე შეძლონ ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარება.

პროგრამას აქვს ორი კონცენტრაცია: ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი და საზღვაო ბიზნესი. კონცენტრაციის კურსები იწყება მესამე კურსის პირველ სემესტრში, რაც

საშუალებას აძლევს სტუდენტებს აქცენტი გააკეთონ მათ მიერ არჩეულ სპეციალიზაციაზე. პირველი სემესტრი ეთმობა საბაზისო საგნებს, მათ შორის: მიკროეკონომიკა, ბიზნესის საფუძვლები, საქართველოს ისტორია და კულტურა, აკადემიურ წერა, მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის და ინგლისურ ენა. სტუდენტებისათვის ასევე ხელმისაწვდომია არჩევითი კურსები, რაც ხელს უწყობს სტუდენტების ზოგადი უნარების ფართო განვითარებას.

მეორე სემესტრში სტუდენტები შეისწავლიან ისეთ მნიშვნელოვან საგნებს, როგორიცაა მაკროეკონომიკა, მენეჯმენტის საფუძვლები და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ამასთანავე აგრძელებენ მათემატიკას, კომპიუტერული პროგრამებს და ინგლისური ენას. ეს სასწავლო კურსები ავითარებს მათ ეკონომიკურ, მმართველობით და ფინანსური ანალიზის უნარებს, აძლიერებს ზოგად კომპეტენციებს.

მესამე სემესტრში შემოდის სპეციფიკური ბიზნეს დისციპლინები, მათ შორის ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ფინანსური აღრიცხვა, ოპერაციების მენეჯმენტი, ლოგისტიკა, მარკეტინგი და სტატისტიკა. ეს საგნები აძლევს სტუდენტებს პრაქტიკულ ცოდნას და აძლიერებს მათ ანალიტიკურ უნარებს ბიზნესის სხვადასხვა სფეროში.

მეოთხე სემესტრი ყურადღებას ამახვილებს ისეთ გაღრმავებულ თემებზე, როგორიცაა მეწარმეობა, მმართველობითი აღრიცხვა, პროექტების მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი და აუდიტი. მეოთხე სემესტრში სტუდენტები შეისწავლიან უფრო რთულ და სპეციალიზებულ საგნებს, როგორიცაა: მეწარმეობა, მმართველობითი აღრიცხვა, პროექტების მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი და აუდიტი, რაც მათ პროფესიული ცოდნის გაღრმავებაში ეხმარება.

მეხუთე სემესტრში სტუდენტები სწავლობენ სამეწარმეო სამართალს, ფინანსურ მენეჯმენტს, ბიზნეს ეთიკას, ლიდერობას და ინოვაციების მენეჯმენტს. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ დამატებითი კურსები ფინანსებში, დაბეგვრასა და საინვესტიციო მენეჯმენტში, რაც უფრო ღრმა სპეციალიზაციის საშუალებას იძლევა.

ასეთი სტრუქტურირებული, ეტაპობრივი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები თანდათანობით იძენენ ბიზნესის ადმინისტრირების სრულყოფილ ცოდნას, დაწყებული ზოგადი საბაზისო ცოდნიდან, სპეციალიზებულ დისციპლინებამდე. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რაც აუცილებელია თანამედროვე დინამიურ ბიზნეს გარემოში წარმატების მისაღწევად.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს ორ კონცენტრაციას: ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი და საზღვაო ბიზნესი, რომლებიც ისწავლება მეხუთე და მეექვსე სემესტრებში. ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის კონცენტრაცია მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა შესყიდვების მენეჯმენტი, მარაგების მართვა, დისტრიბუციის არხების მართვა და სასაწყობო ლოგისტიკა, რაც სტუდენტებს აძლევს პრაქტიკულ გამოცდილებას მიწოდების ჯაჭვის ოპერაციებში.

საერთო ჯამში, პროგრამა ამზადებს სტუდენტებს წარმატების მისაღწევად ბიზნესის სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით ლოგისტიკისა და საზღვაო ინდუსტრიაში, კარგად გააზრებული სასწავლო გეგმით, რომელიც აერთიანებს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას.

საზღვაო ბიზნესის კონცენტრაცია ფოკუსირებულია ძირითად სფეროებზე, როგორიცაა საზღვაო ბიზნესი, საზღვაო ტრანსპორტის ეკონომიკა, საზღვაო ტრანსპორტის ოპერაციების მენეჯმენტი და გადაზიდვის კომპანიის მენეჯმენტი. ეს სასწავლო კურსები შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებმა შეიძინონ ყველა ის ცოდნა და უნარი, რაც მათ საზღვაო ინდუსტრიაში წარმატებული კარიერის შესაქმნელად დასჭირდებათ.

მეექვსე სემესტრში სტუდენტები გადიან შემდეგ სასწავლო კურსებს: სტრატეგიული მენეჯმენტი, რისკების მართვა და დაზღვევა, და MS Excel ბიზნესისთვის. ამასთანავე ისინი იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას პროფესიული პრაქტიკის გავლით სხვადასხვა ორგანიზაციაში. ეს სასწავლო კურსები აძლიერებს როგორც მათ პრაქტიკულ, ისე ანალიტიკურ უნარებს, რაც ამზადებს მათ რეალური სამუშაო გარემოში არსებული გამოწვევებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც წესი, ითვალისწინებს სემესტრში 30 კრედიტის (წელიწადში 60 კრედიტის) დაგროვებას, თუმცა ეს რაოდენობა შეიძლება იცვლებოდეს, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 75 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, რაც გულისხმობს 180 ECTS კრედიტის დაგროვებას, სტუდენტებს ენიჭებათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია.

ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა მიიღონ როგორც ბიზნესის ადმინისტრირების ზოგადი პრინციპების სრულყოფილი ცოდნა, ასევე სპეციალიზებული ცოდნა მათ მიერ არჩეულ კონცენტრაციაში. გარდა ამისა, პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რაც სტუდენტებს ამზადებს წარმატებული კარიერისთვის რეალურ სამუშაო გარემოში.

ამ ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მინიჭებულ კვალიფიკაციასთან და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული, ლოგიკურად ორგანიზებული და პროგრესულად განვითარებული თავისი შინაარსით, სადაც სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები არის შესაბამისი და ადეკვატური.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ დაწესებულება აღიარებს, რომ პროგრამის შემუშავება და განვითარება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეები, მათ შორის აკადემიური პერსონალს, სამეცნიერო მრჩევლები, მოწვეული ლექტორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. თუმცა, არსებობს საერთო მოსაზრება, რომ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და მათი ჩართულობა პროგრამის განვითარებაში შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს.

უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას. პროგრამის კატალოგი თავისუფლად ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა შექმნილია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას და დაეხმაროს მათ აკადემიური და პროფესიული მიზნების მიღწევაში. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები ისეა შერჩეული და ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ სტუდენტებმა მაქსიმალურად ეფექტურად მიაღწიონ დასახულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტს შეუძლია აკადემიური წლის განმავლობაში დააგროვოს 60 კრედიტი, რაც სემესტრში შეადგენს 30 კრედიტს. სემესტრის ხანგრძლივობა არის 20 კვირა, საიდანაც 15 კვირა ეთმობა სასწავლო პროცესს და 4 კვირა გამოცდებს. დამატებითი დრო გათვალისწინებულია აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებისთვის.

სასწავლო პროცესი გულისხმობს როგორც თეორიულ ლექციებს, ისე პრაქტიკულ მეცადინეობებს, ჯგუფურ მუშაობასთან ერთად. სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს ვერბალურ კომუნიკაციას, დემონსტრირებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას და ქეისების განხილვას, და სხვ. ეს მეთოდები ხშირად კომბინირებულია სტუდენტების აქტიური ჩართულობისა და სწავლის ოპტიმალური შედეგების უზრუნველსაყოფად.

სამაგისტრო პროგრამა შედგება სულ 120 ECTS კრედიტისგან, რომელიც მოიცავს 81 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსებს, 4 ECTS არჩევით სასწავლო კურსებს და კვლევით კომპონენტებს. ასევე, პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ირჩევს კონცეტრაციას საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტი (30 ECTS), რომელიც მთავრდება საკვალიფიკაციო ნაშრომით (30 ECTS). ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეიძინონ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც მათ ეფექტურად ამზადებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში წარმატებული კარიერისთვის.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მრავალმხრივი და სიღრმისეული კომპეტენციების ჩამოყალიბებას ბიზნესის მენეჯმენტის სხვადასხვა ასპექტში. პროგრამა მოიცავს ძირითად კურსებს, ასევე კონცენტრაციას საზღვაო ლოგისტიკაში.

ძირითადი კურსები ავითარებს სტუდენტების უნარებს შემდეგ სფეროებში:

- ფინანსური ანალიზი და ბიუჯეტის დაგეგმვა
- ბიზნეს პროცესების მოდელირება Excel-ში
- ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი
- ინოვაციური და სტრატეგიული მენეჯმენტი
- მარკეტინგული კომუნიკაციები და ციფრული ანალიტიკა
- პროექტების მართვა და რისკების შეფასება

- საზღვაო ლოგისტიკის კონცენტრაცია ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:
- თანამედროვე გამოწვევები საზღვაო ეკონომიკაში
- საერთაშორისო საზღვაო კონვენციები
- პორტების მართვა და განვითარება
- გლობალური მიწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვა

პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომით, სადაც სტუდენტებს მოეთხოვებათ შეძენილი ცოდნის გამოყენება ინოვაციური გადაწყვეტილებების შესამუშავებლად და რთული პრობლემების გადასაჭრელად. სავალდებულო კურსების წარმატებით დასრულება წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობას.

120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ, კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი და მიეცემათ შესაბამისი დიპლომი UNESCO/CEPES მოდელის შესაბამისად. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს იმას, რომ კურსდამთავრებულები გახდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ რთული ბიზნესგამოწვევების გადაჭრა და ხელმძღვანელობა თანამედროვე, გლობალურ ბიზნეს გარემოში.

საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზი მიუთითებს, რომ მისი შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მინიჭებულ კვალიფიკაციას და ეფექტურად უწყობს ხელს დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა ხასიათდება თანმიმდევრული სტრუქტურით, სადაც საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული და თანმიმდევრულად ვითარდება. გარდა ამისა, სხვადასხვა კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ არის განსაზღვრული.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ დაწესებულება აღიარებს პროგრამის შემუშავებისა და განვითარების თანამშრომლობით ხასიათს. შესაბამისად, ამ პროცესში აქტირუად არიან ჩართული დაინტერესებული მხარეები მრავალფეროვანი სპექტრი, მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, სასურველია გაუმჯობესდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და მათი აქტიური მონაწილეობა. ამ თანამშრომლობის გაძლიერება ხელს შეუწყობს პროგრამის მუდმივ სრულყოფას და გააუმჯობესებს მის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 25 აპრილის №01-126 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების წესი.
- კურიკულუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამები
- სილაბუსები

- ვებ-გვერდი
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არარის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები: არარის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არარის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტირება, სამაგისტრო პროგრამა)	☑	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა)

აკადემიური კურსებისა და სწავლის შედეგებს შორის კავშირი წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუქით. მასში ნაჩვენებია, თუ როგორ შეესაბამება თითოეული აკადემიური კურსი პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. აკადემიური კურსების სწავლის შედეგების დეტალური ანალიზი ადასტურებს მათ შესაბამისობას პროგრამის ზოგად სწავლის შედეგებთან. კურსის სილაბუსებში ასახული შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს და ხელს უწყობს მათ მიღწევას.

თითოეული კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მის შინაარსს და მასთან დაკავშირებულ სასწავლო შედეგებს. პროგრამის აკადემიური კურსები ძირითადად 3, 4 და 5 კრედიტიანია, რომელიც განისაზღვრება კურსის შინაარსით და სტუდენტის მოსალოდნელი დატვირთვის მიხედვით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათებს შორის თანაფარდობა სათანადოა და ითვალისწინებს თითოეული საგნის სპეციფიკურ ხასიათს.

სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების სხვადასხვა მეთოდს და დეტალურ კრიტერიუმებს. აღნიშნული სისტემა გამჭვირვალე და ობიექტურია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღწევების სამართლიან შეფასებას სწავლის შედეგებთან მიმართებაში. გარდა ამისა, პროგრამა მოიცავს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს 5 კრედიტის მოცულობით, რომელის მიზანია, სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება რეალურ სამუშაო გარემოში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა)

როგორც ადრე აღინიშნა, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა 120 ECTS კრედიტი, რომლებიც მოიცავს როგორც სასწავლო, ისე კვლევით ელემენტებს. პროგრამის სავალდებულო კურსები წარმოადგენს ძირითად სწავლის სფეროს და მათი მოცულობა არის 81 ECTS კრედიტი. გარდა ამისა, პროგრამა გთავაზობთ არჩევით კურსებს 4 ECTS კრედიტის მოცულობით.

პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია 30 ECTS კრედიტიანი კონცენტრაცია „საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტი“, რომელიც ფოკუსირებულია ამ დარგის სპეციალიზებულ საგნებზე. პროგრამის დასრულებისას სტუდენტმა უნდა შეასრულოს საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომლის მოცულობაა 30 კრედიტი და დაფუძნებულია დამოუკიდებელ კვლევაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის კურსების დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ის მეთოდურად და შინაარსობრივად კარგად არის სტრუქტურირებული. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. კრედიტების გადანაწილება კურსებს შორის ლოგიკურია და ასახავს თითოეული კურსის შინაარსის მოცულობასა და სწავლის შედეგებს.

საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ სასწავლო საათებს შორის არსებული თანაფარდობა ლოგიკურია და ითვალისწინებს თითოეული კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო

საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. აუცილებელია, რომ ყველა სწავლის შედეგი შეფასებული იქნეს თითოეული კურსის ფარგლებში.

სილაბუსებში ასახული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალა შესაბამისია და შეესაბამება როგორც კონკრეტული კურსების, ისე მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო მასალები ასახავს შესაბამის სფეროებში მიმდინარე მიღწევებს და მოიცავს უახლეს კვლევებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების უახლესი ცოდნით აღჭურვას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ ზოგიერთი ინგლისურენოვანი ლიტერატურა საჭიროებს განახლებას. მაგალითად:

1. კოლინ უაითი. სტრატეგიული მენეჯმენტი.
2. სტივ სურანოვიჩი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი. *საერთაშორისო ფინანსები:* თეორია და პოლიტიკა. გამომცემელი: სეილორის ფონდი; ISBN 13: 9781936126460. ნაშრომის გამოქვეყნების წელი: 2010.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი სრულდება სამაგისტრო ნაშრომით. დაწესებულებამ წარმოადგინა ექვსი სამაგისტრო ნაშრომი, რომლებიც შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული სწავლის შედეგები და შინაარსი სათანადოა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სავალდებულო კვლევითი კომპონენტები ამ ნაშრომებში არასაკმარისად იყო წარმოდგენილი. ამ საკითხის თაობაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტანდარტში 2. 2.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომი
- საგანმანათლებლო პროგრამები
- კურიკულუმის რუკა
- სილაბუსები
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- განაახლეთ ინგლისური ენის სასწავლო რესურსები (1.5)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგარმა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტირება, სამაგისტრო პროგრამა)	☑	☐	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯარო. ისინი უზრუნველყოფენ შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას პროგრამაში. პროგრამებში ჩართვის კრიტერიუმებია:

- ერთიანი ეროვნული გამოცდები
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები (სამაგისტრო პროგრამისთვის);
- უცხო ენის (ინგლისური) ცოდნის დადასტურება;

უცხო ქვეყნის მოქალაქეების მობილობა და ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო პროცედურების და საზღვაო აკადემიის მიერ დადგენილი წესით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება –საბაკალავრო პროგრამა):

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება შემდეგი წინაპირობებით:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ფლობა;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება;
- სავალდებულო გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა; არჩევითი გამოცდა: მათემატიკაში ან ისტორიაში;

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების მიხედვით. გარდა ამისა, მობილობით ჩარიცხვა დაშვებულია სწავლების ერთი აკადემიური წლის გავლის შემდეგ, წელიწადში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება–სამაგისტრო პროგრამა)

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებია:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა;
- საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;
- საზღვაო აკადემიის მიერ დადგენილი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარება: გამოცდა :ბიზნესის ადმინისტირებაში"
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება : B2 დონის სერთიფიკატის წარდგენა ან საზღვაო აკადემიის მიერ ორგანიზებული ენის ფლობის გამოცდის ჩაბარება;

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. პროგრამებზე მიღების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე პირების პროგრამებში ჩარიცხვას. დაშვების წინაპირობები მკაფიო და გამჭვირვალეა; მათში გათვალისწინებულია როგორც ეროვნული, ასევე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები. სამაგისტრო პროგრამისთვის დადგენილია B2 დონეზე ინგლისური ენის ფლობის მოთხოვნა.

მიუხედავად ამისა, არსებობს გასაუმჯობესებელი სფეროები: სამაგისტრო პროგრამისთვის არ არის ნახსენები დამატებითი კრიტერიუმები, როგორიცაა სამოტივაციო წერილი ან გასაუბრება. სამოტივაციო წერილი/ინტერვიუ საშუალებას მისცემს აკადემიას შეაფასოს კანდიდატის რეალური ინტერესი და მოტივაცია პროგრამის მიმართ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაგისტრო დონეზე, სადაც სტუდენტებს ეკისრებათ მაღალი ჩართულობა და მოეთხოვებათ თვითმოტივაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საზღვაო აკადემიის ვებგვერდი https://www.bsma.edu.ge/
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- გასაუბრების შედეგები;

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაციის განთავსება დაწესებულების ვებგვერდზე და სხვა საინფორმაციო არხებზე. (2,1)

კლასტერის საერთო რჩევები:

არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რჩევები:

- სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს დაამატოთ სამოტივაციო წერილის წარდგენის ან გასაუბრების ჩატარების მოთხოვნა. (2,1)

შეფასება

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტირება, სამაგისტრო პროგრამა)	☐	☑	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც გაერთიანებულია კლასტერში, უზრუნველყოფენ სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას შემდეგი გზით: სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებსა და პროექტებში, სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება და აკადემიის შიდა საგრანტო პროექტები, სადაც სტუდენტთა ჩართულობა შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს. დაწესებულებას აქვს კონფერენციების გამოცხადების და მონაწილეობის პირობების გამჭვირვალე პროცესები. მათ შორის „სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების წესები“, „საერთაშორისო კონფერენციებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების შერჩევისა და დაფინანსების წესები“ და „გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესები“. აკადემია ასევე იყენებს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან, ბიზნეს სექტორთან და სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება –საბაკალავრო პროგრამა):

რაც შეეხება პრაქტიკულ უნარებს, პროგრამა მოიცავს "პროფესიული პრაქტიკის" კომპონენტს (5 კრედიტი), რომელიც ამზადებს სტუდენტებს რეალური სამუშაო გარემოსთვის. სხვადასხვა კურსები (მაგ. ფინანსური მენეჯმენტი, გადასახადები, ოპერაციების მენეჯმენტი, ლოგისტიკის მენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, მენეჯერული ბუღალტერია) ასევე ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას.

სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარების კუთხით სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში. აკადემიის შიდა საგრანტო პროექტები ითვალისწინებს სტუდენტთა მონაწილეობასაც.

დაბოლოს, რაც შეეხება ტრანსფერულ უნარებს, აკადემიური წერის კურსი ავითარებს არგუმენტირებულ დასაბუთებას, კრიტიკულ აზროვნებასა და აკადემიურ სფეროებში მუშაობისთვის აუცილებელ უნარებს. გარდა ამისა, ყოველწლიურად სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება– სამაგისტრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ისეთ კურსებს როგორიცაა: პროექტების მართვა; მენეჯერული აღრიცხვა; ფინანსური მენეჯმენტი; ბიზნესისთვის მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ში, და სხვა, რომლებიც ხელს უწყობენ პრაქტიკული უნარების განვითარებას. თუმცა, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში არ არის გათვალისწინებული „პრაქტიკის" კურსი. სტუდენტების პროფესიულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კურსი „პრაქტიკა“. იგი საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ ბიზნეს გარემოში, რაც ხელს უწყობს მათი პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პრაქტიკა ასევე ეხმარება სტუდენტებს დაამყარონ პროფესიული კონტაქტები და განავითარონ კარიერული ორიენტაცია. რეალური სამუშაო გამოცდილების მიღება, ზრდის სტუდენტების კონკურენტუნარიანობას სამუშაო ბაზარზე. გარდა ამისა, პრაქტიკა ხელს უწყობს ინოვაციური იდეების გენერირებას და პროფესიული ეთიკის პრინციპების პრაქტიკულ გამოყენებას, რაც მნიშვნელოვანია მომავალი ბიზნეს ლიდერებისთვის. ამრიგად, „პრაქტიკის“ კურსი გადამწყვეტ როლს ასრულებს სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და კარიერული მზაობის უზრუნველსაყოფად. სამაგისტრო პროგრამის გასაძლიერებლად და სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს „პრაქტიკის“ კურსი. ეს კურსი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტების მზაობას რეალური ბიზნეს-გარემოსთვის, მისცემს მათ შესაძლებლობას გამოიყენონ თეორიული ცოდნა პრაქტიკაში და განავითარონ პროფესიული კონტაქტები. როგორც აღინიშნა, კურსი „პრაქტიკა“ ასევე ხელს შეუწყობს სტუდენტების კარიერულ ორიენტაციას და გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

პროგრამა მოიცავს კურსს „კვლევის მეთოდები“, რომელიც ავითარებს სტუდენტებს თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენების უნარს. სამაგისტრო ნაშრომი ავითარებს კომპლექსურ კვლევით უნარებს და ორიგინალური იდეების განვითარების უნარს. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შესრულებული ექვსი სამაგისტრო ნაშრომი. ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი ხარვეზები კვლევით კომპონენტებში. კერძოდ, კვლევის პროცესი არ აკმაყოფილებდა ისეთ არსებით მოთხოვნებს, როგორიცაა: ლიტერატურის სიღრმისეული ანალიზი, ამ ანალიზის საფუძველზე ჰიპოთეზების ან კვლევის კითხვების ფორმულირება, ჰიპოთეზის შესამოწმებლად შესაბამისი მეთოდოლოგიებისა და სტატისტიკური ინსტრუმენტების გამოყენება ან კვლევის შედეგების ადეკვატური პრეზენტაცია.

ზოგიერთ ნაშრომში ჩამოყალიბებული იყო ჰიპოთეზები, მაგრამ გაურკვეველი იყო მათი განვითარების დასაბუთება და გადამოწმების მეთოდები. კვლევის მეთოდოლოგია აღწერილი იყო მხოლოდ რამდენიმე წინადადებით, ხოლო კრიტიკული კომპონენტები, როგორიცაა შერჩევის სტრატეგიები, ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტები და კვლევის კონცეპტუალური მოდელები, არასაკმარისად იყო წარმოდგენილი. ეს მიგნებები მიუთითებს იმაზე, რომ ინსტიტუციამ უნდა გაამყაროს სტუდენტთა კვლევითი უნარ-ჩვევების

განვითარება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომების დაცვა შეესაბამებოდეს შესაბამის აკადემიურ სტანდარტებს.

ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად ინსტიტუციამ უნდა გააძლიეროს სტუდენტთა კვლევითი კომპეტენციები. ამაში იგულისხმება: კვლევის მეთოდოლოგიის კურსების გაძლიერება, აკადემიური წერის უნარების გაუმჯობესება, სტატისტიკური ანალიზის მეთოდებში სწავლების გაღრმავება და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესის გაუმჯობესება. ამ ცვლილებების განხორციელებით, აკადემია შეძლებს უზრუნველყოს, რომ სამაგისტრო ნაშრომები აკმაყოფილებდეს საჭირო აკადემიურ სტანდარტებს, რაც გააუმჯობესებს პროგრამის საერთო ხარისხს და გაზრდის კურსდამთავრებულთა კვლევით კომპეტენციებს.

სამაგისტრო ნაშრომი ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა პრობლემის გადაჭრისთვის ახალი იდეების შექმნის უნარი. ბაკალავრიატის სტუდენტების მსგავსად, მაგისტრანტებსაც აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები რეგიონული ბიზნეს-ორგანიზაციებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებთან სტაჟირებებისა და პრაქტიკის ჩატარების მიზნით. შემუშავებულია საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა და დაფინანსების წესები. აკადემია თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან და ბიზნეს სექტორთან სტუდენტების კარიერული განვითარების მხარდასაჭერის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები და სილაბუსები;
- სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების წესი;
- საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების შერჩევისა და დაფინანსების წესი;
- გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესი;
- მემორანდუმების რეესტრი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- გასაუბრების შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გაზარდოთ პროგრამებში სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი (2.2)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან; ხელი შეეწყოს სტუდენტთა ჩართულობას საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში. (2,2)

- სასურველია შეიმუშაოთ მექანიზმი სტუდენტური სამეცნიერო პუბლიკაციების წახალისებისთვის, მაგალითად, საუკეთესო კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობის მიცემით. (2,2)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება–საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია გააძლიეროთ სამეცნიერო/კვლევითი უნარების კომპონენტი საბაკალავრო პროგრამაში, მაგალითად, საბაკალავრო ნაშრომის შემოღებით ან კვლევითი პროექტების დამატებით (2.2)

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტირება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს "პრაქტიკის" კურსი (2.2)
- რეკომენდებულია შემუშავდეს ეფექტური მექანიზმები, რაც გააძლეირებს მაგისტრანტთა კვლევით უნარებს და მოხდება მათი დემონსტრირება სამაგისტრო ნაშრომებში (2.2)

რჩევები: არ არის მითითებული

****

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტირება, სამაგისტრო პროგრამა)	☐	☑	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემია მოქმედებს "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების წესების" შესაბამისად, რომელიც მოითხოვს სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდების მითითებას. გამოიყენება "ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით" შემოთავაზებული მეთოდები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს სარეკომენდაციო დოკუმენტი "სწავლება- სწავლის მეთოდები." ლექციებზე გამოიყენება ვერბალური, დემონსტრირების, ახსნა-განმარტებითი და ქეისების ანალიზის მეთოდები. სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება დისკუსია/ დებატები, ჯგუფური მუშაობა, ქეისების განხილვა, პრეზენტაციები, პრაქტიკული სამუშაო, პროექტებზე და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციური სწავლება და სხვა.

აკადემიური პერსონალი რეგულარულად მონაწილეობს მეთოდოლოგიური უნარების განვითარების ტრენინგებში. მოწვეული პერსონალის შერჩევისას ფასდება მათი მეთოდოლოგიური უნარები. აკადემიური პერსონალის სწავლება- სწავლის მეთოდოლოგიური უნარების შეფასება ხორციელდება ურთიერთშეფასების, ღია ლექციებისა და სტუდენტთა გამოკითხვების გზით. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულებას შეუძლია სწავლება- სწავლის ინოვაციური მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენება, მაგალითად, საგანმანათლებლო პროცესში მეტი ინტერაქტიული და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე, რაც შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების წესები
- "სწავლების/ სწავლის მეთოდები" - სარეკომენდაციო დოკუმენტი
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები და სილაბუსები
- აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობების დოკუმენტაცია
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- ურთიერთდასწრებისა და ღია ლექციების ანგარიშები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია გააძლიეროთ სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, მაგალითად, სასწავლო პროცესში მეტი ინტერაქტიული და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. (2,3)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)	☑	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

შეფასება ხორციელდება კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა წესების შესაბამისად. კერძოდ, შეფასება ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას და საზღვაო აკადემიის შიდა მარეგულირებელ წესს "გამოცდებისა და შეფასების პროცედურა."

შეფასება მოიცავს შუალედურ (60%) და დასკვნით (40%) შეფასებებს. შუალედური შეფასება შედგება რეიტინგული შეფასებისგან (45%) და კომპიუტერული ტესტირებისგან (15%). დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები: შუალედური შეფასებისთვის 21 ქულა და დასკვნითი გამოცდისთვის 20 ქულა.

გამოიყენება სტუდენტის GPA (საშუალო ქულა). შეფასების სისტემა გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, შესაბამისი დოკუმენტები განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე. სილაბუსები ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონულ ჟურნალში. შეფასება მოიცავს 5 დადებით (A, B, C, D, E) და 2 უარყოფით (FX, F) შეფასებას. FX- ის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, საჯარო დაცვის წესით. შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით, კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებისთვის სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალის გადამზადება შეფასების თანამედროვე მეთოდებში, განსაკუთრებით ონლაინ და შერეული სწავლების კონტექსტში, და სწორედ ამ კუთხით აპირებს დაწესებულება მომავალში გაძლიერებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა)

შუალედური შეფასება, რომელიც ჯამში 60 ქულას შეადგენს, შედგება ორი კომპონენტისგან. პირველი კომპონენტია რეიტინგული შეფასება, რომელსაც 45 ქულა ეთმობა. ეს კომპონენტი საშუალებას აძლევს კურსის ინსტრუქტორს შეარჩიოს და გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდები და კრიტერიუმები, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. მეორე კომპონენტია კომპიუტერული ტესტირება, რომელიც ფასდება 15 ქულით. ეს გამოცდა ტარდება მე-9 კვირაში და მოიცავს პირველი 8 კვირის სალექციო მასალას. დასკვნითი გამოცდა, რომელიც ფასდება 40 ქულით, ტარდება წერილობითი ფორმით. ეს გამოცდა არის სტუდენტის შეფასების სავალდებულო კომპონენტი.

კურსის წარმატებით დასრულების მიზნით, სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 51 ქულა. თუ სტუდენტი მიიღებს 41- 50 ქულას (FX შეფასება), მას ეძლევა დამატებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა. 40 ქულაზე დაბალი შეფასების (F) შემთხვევაში, სტუდენტს მოუწევს კურსის ხელახლა გავლა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - სამაგისტრო პროგრამა)
სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი საზღვაო აკადემიაში კარგად სტრუქტურირებულია და მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს. დაცვა ხორციელდება სპეციალურად შექმნილი შემფასებელი კომისიის მიერ, რომელიც შედგება მინიმუმ 5 წევრისგან. კომისიაში შედიან სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, დოქტორის ხარისხის მქონე პირები და დარგის წარმომადგენლები. ვიდრე სტუდენტს დაცვის უფლება მიეცემა, უნდა დაკმაყოფილდეს ორი მნიშვნელოვანი წინაპირობა: პირველი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა უნდა წარადგინოს წერილობითი დასკვნა. მეორე, ნაშრომი უნდა შემოწმდეს პლაგიატზე და ხელმძღვანელმა უნდა გააანალიზოს ამ შემოწმების შედეგები.

დაცვის პროცედურა შედგება რამდენიმე ეტაპისგან: სტუდენტი წარადგენს თავის ნაშრომს (10- 15 წუთი), რასაც მოსდევს კითხვა-პასუხის სესია. ამის შემდეგ წარმოდგენილი იქნება რეცენზენტისა და ხელმძღვანელის დასკვნები. შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით. კომისიის თითოეული წევრი აფასებს ნაშრომს და საბოლოო შეფასება გამოითვლება ამ ქულების საშუალო არითმეტიკულით. ეს პროცესი უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის ობიექტურ და სამართლიან შეფასებას, რაც მნიშვნელოვანია აკადემიური ხარისხის უზრუნველსაყოფად. გასაუბრებების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობენ აკადემიაში დანერგილ შეფასების სისტემას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუდენტთა შეფასების და გამოცდის პროცედურა
- სასწავლო პროცესის პროცედურა. ბაკალავრიატის დონე
- სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლის საფეხური - მაგისტრატურა
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები და სილაბუსები
- გასაუბრებები სტუდენტებთან და აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია გააძლიეროთ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეფასების თანამედროვე მეთოდებში, განსაკუთრებით ონლაინ და ჰიბრიდული სწავლების პირობებში. (2,4)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინფორმაცია ბათუმის საზღვაო აკადემიის სტუდენტების მართვისა და აკადემიური გამოცდილების შესახებ შეგროვდა დოკუმენტების განხილვის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებებისა და თვითშეფასების ანგარიშების საფუძველზე.

ჩარიცხვისას ლექტორები აწვდიან სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ გაიდლაინებსა და ინფორმაციას. სტუდენტებს ვაკანსიებისა და სტაჟირების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სხვადასხვა არხების საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ჟურნალებისა და უნივერსიტეტის Facebook გვერდის მეშვეობით. მეოთხე კურსის სტუდენტები გადიან პრაქტიკულ სტაჟირებას და რამდენიმე სტუდენტმა გაგვიზიარა საკუთარი კონკრეტული წარმატების ისტორია, როგორიცაა ეკიპაჟის წევრის პოზიციის მოპოვება ამ კურსების დასრულების შემდეგ. თუმცა, სტუდენტების მიერ გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი სფეროა პრაქტიკული მეცადინეობების გაზრდის საჭიროება, განსაკუთრებით ენობრივ უნარებსა და საზღვაო პროფესიებში.

სტუდენტებს წვდომა აქვთ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კონფერენციებზე. ორი თვის წინ ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია და დამყარდა გაცვლითი პროგრამები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ისწავლონ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ნორვეგია და ესპანეთი. გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება უნივერსიტეტის პლატფორმისა და სოციალური მედიის არხების საშუალებით.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში, მათ შორის სტუდენტურ კლუბებში, საზაფხულო ბანაკებსა და სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ კონკურსებში. ასევე ხელმისაწვდომია სტიპენდიები და შიდა ფინანსური დახმარება, რაც სტუდენტებს დამატებით მხარდაჭერას უწევს.

სტუდენტთა შეფასებებზე ხორციელდება უკუკავშირი, ლექტორები სთავაზობენ პერსონალურ კონსულტაციებს კვირაში ერთი საათის განმავლობაში და შენარჩუნებულია შეფასების გამჭვირვალობა. თუმცა, საყურადღებოა სტუდენტების შეზღუდული ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში, რადგან მათი წვლილი ამჟამად შემოიფარგლება კითხვარის უკუკავშირით, და მათი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ საბჭოებში საკმაოდ მცირეა.

აკადემია წარმატებით სთავაზობს სტუდენტებს ისეთ საერთაშორისო შესაძლებლობებს, როგორიცაა გაცვლითი პროგრამები ბულგარეთის, პოლონეთისა და ნორვეგიის დაწესებულებებთან, რომლებიც მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება. განსაკუთრებით გაუმჯობესდა ლოგისტიკისა და ფინანსების პროგრამები, რომ უფრო მეტად შეესაბამებოდეს საზღვაო პორტების დასაქმების შესაძლებლობებს. აკადემია ასევე არის IAMO- ს, საერთაშორისო საზღვაო ასოციაციის წევრი, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლობისა და სტუდენტების განვითარების დამატებით შესაძლებლობებს.

ტარდება ყოველწლიური ფორუმი დამსაქმებლებთან და იმართება მრავალი შეხვედრა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურიკულუმის განვითარებაში გათვალისწინებული იყოს დარგის უკუკავშირი. მართალია სტუდენტები მონაწილეობენ ამ ღონისძიებებში, საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობა კვლავ შეზღუდულია და არსებობს ასეთ შესაძლებლობებში სტუდენტების მეტი ჩართულობის პოტენციალი.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია, განსაკუთრებით საზღვაო სექტორში. აკადემიას მჭიდრო კავშირები აქვს დამსაქმებლებთან და სტუდენტები ხშირად რჩებიან სტაჟირების დასრულების შემდეგ. დამსაქმებლები ღირებულ უკუკავშირს უზრუნველყოფენ სტუდენტების მუშაობის შესახებ და ეს მონაცემები გათვალისწინებულია საერთო შეფასების პროცესში. გარდა ამისა, სტუდენტები სარგებლობენ საზაფხულო სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობით, რაც აუმჯობესებს მათ პრაქტიკულ ცოდნასა და დარგის კავშირებს.

და ბოლოს, ყოველი სემესტრის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ ლექტორებსა და პროგრამებს როგორც ელექტრონულად, ისე პირადად. უკუკავშირი ანონიმურია და სტუდენტებს მოუწოდებენ ღიად განიხილონ თავიანთი გამოცდილება კლასში. რჩევები გაუმჯობესებისთვის სწრაფად ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- მემორანდუმები.
- თვითშეფასების ანგარიში
- სტუდენტთა ინიციატივების განხორციელების წესები

- სტუდენტთა საკონსულტაციო პოლიტიკის დოკუმენტი
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის დოკუმენტი
- გასაუბრებების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გაზარდოთ სტუდენტთა წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც სტუდენტებს პროგრამის შემუშავებისა და შერჩევის პროცესებში უფრო აქტიურად მონაწილეობის საშუალებას მისცემს და მათი პოზიცია არ შემოიფარგლოს მხოლოდ კითხვარების მეშვეობით მიღებული უკუკავშირით. (3,1)
- რეკომენდებულია გააფართოვოთ პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობები, უზრუნველყოფილ იქნას მეტი პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობა, განსაკუთრებით ინგლისური ენის ცოდნისა და საზღვაო უნარ-ჩვევების მიმართულებით, რათა უკეთ მოამზადოთ სტუდენტები პროფესიული როლებისთვის. (3,1)

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის საზღვაო აკადემიაში მაგისტრანტთა ხელმძღვანელობის მართვა შეფასდა თვითშეფასების ანგარიშების, შესაბამისი დოკუმენტებისა და აკადემიურ პერსონალთან და მაგისტრანტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე. აკადემიას შემუშავებული აქვს მაგისტრანტების ეფექტური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი ჩარჩო, თუმცა გამოვლინდა გარკვეული გასაუმჯობესებელი სფეროები.

აკადემიის თითოეულ მაგისტრანტსა და დოქტორანტს ენიშნება კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ხელმძღვანელობას კვლევის პროცესში. ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ დოქტორის შესაბამისი ხარისხი და კვლევითი გამოცდილება. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაინიშნონ თანახელმძღვანელებიც, კვლევის თემის სირთულისა და სტუდენტსა და მთავარ ხელმძღვანელს შორის შეთანხმების საფუძველზე. ხელმძღვანელების დანიშვნის პროცესი გამჭვირვალეა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის შესაბამის აკადემიურ მხარდაჭერას მათი სფეროს ექსპერტებისგან.

ხელმძღვანელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სტუდენტების დახმარებაში კვლევის სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის კვლევის დიზაინში, მეთოდოლოგიაში, პროექტის მართვასა და თეზისის ან დისერტაციის წერაში. ისინი ასევე უზრუნველყოფენ სტუდენტების ინტეგრაციას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში. სტუდენტებს მოუწოდებენ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში, გამოაქვეყნონ კვლევები რეცენზირებად ჟურნალებში და შეიტანონ განაცხადი სამეცნიერო გრანტებზე მათი ხელმძღვანელების დახმარებით.

აკადემიას ასევე დადგენილი აქვს ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების პასუხისმგებლობების მარეგულირებელი წესები. ხსენებული წესები ითვალისწინებს ხელმძღვანელობის პროცესს და ხელმძღვანელებისა და სტუდენტების თანაფარდობას, რაც 1.17- ს შეადგენს, შსესაბამისად, პროგრამას ჰყავს სტუდენტებისთვის ხელმძღვანელების ადეკვატური რაოდენობა.

აკადემიაში არსებული კარგად სტრუქტურირებული პროცესი უზრუნველყოფს თეზისისა და დისერტაციის მომზადების დროს აკადემიურ კეთილსინდისიერებას. პლაგიატის აღმოჩენა ხორციელდება სპეციალური პროგრამით, სადაც მსგავსების მაქსიმალური დასაშვები მაჩვენებელი განსაზღვრულია 25%- ით. კომისიის აზრით, დაწესებულებამ უნდა შეცვალოს ეს ზღვარი, ვინაიდან სტუდენტის ნაშრომის მეოთხედამდე მსგავსების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ხელმძღვანელების პასუხისმგებლობაში შედის სტუდენტების ინფორმირება პლაგიატის პოლიტიკის შესახებ და იმის უზრუნველყოფა, რომ მათი ნაშრომი შეესაბამება ამ რეგულაციებს.

მაგისტრანტების/დოქტორანტების დაკავშირებული მონაცემები **პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)**[3]	**ხელმძღვანელობასთან**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	**6**
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ადამიანური რესურსების სია, CV- ები
- სილაბუსები
- მაგისტრატურის მარეგულირებელი დოკუმენტი
- პლაგიატის წესი
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს სტუდენტთა ნაშრომებში პლაგიატის დასაშვები ზღვარი. (3,2)

[3] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☐	☑	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☐	☑	☐	☐

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემია უზრუნველყოფს, რომ პერსონალთან დაკავშირებული პოლიტიკა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და აქვს პროცედურები, რომლებიც არეგულირებს პერსონალის დაქირავებას, სამუშაოს ადაპტაციას, შესრულებასა და პროფესიულ განვითარებას, ასევე ახორციელებს პერსონალის კმაყოფილების მონიტორინგს, რომელსაც განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკონტროლებს.

კერძოდ, დაწესებულებას აქვს "აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესები", რომელიც მინიმალურ მოთხოვნებს ადგენს. ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საბჭომ შეიმუშავა საკონკურსო ერთეულების რაოდენობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და წესების შესაბამისად და განსახილველად წარუდგინა სენატს. კომისიამ დაადგინა, რომ ეს წესები დაცული იყო, რაც უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას.

დაწესებულება იცავს საქართველოს კანონს "უმაღლესი განათლების შესახებ" "აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის" განხორციელებაში. მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს აკადემიური თანამდებობის დაკავების წინაპირობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმებს და კონკურსების ჩატარების პროცედურას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციები, დატვირთვა და უფლება-მოვალეობები აღწერილია "აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვისა და ანაზღაურების განსაზღვრის წესებში". აკადემიური და მოწვეული პერსონალი თავის საქმიანობას ახორციელებს ყოველწლიურად განსაზღვრული ინდივიდუალური დატვირთვის შესაბამისად, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს საკლასო და სხვა აქტივობებს. პერსონალმა წლის დაწყებამდე უნდა შეავსოს აკადემიური პერსონალის დატვირთვის რეგისტრაციის ფორმა, რომელსაც შემდეგ განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური დეპარტამენტის უფროსი და ფაკულტეტის დეკანი. წესების მიხედვით, აკადემიური პერსონალის დატვირთვაში დადგენილია აკადემიური პერსონალისთვის სავალდებულო წლიური საკლასო დატვირთვა 330 საათის ოდენობით და საერთო წლიური დატვირთვა მინიმუმ 1800 საათის ოდენობით. კომისიამ დაადგინა, რომ პერსონალს ეს პასუხისმგებლობები კარგად აქვთ გააზრებული.

აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება "პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესების" შესაბამისად. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშების საფუძველზე, რომლის განუყოფელი ნაწილია აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი ანგარიშები და შესრულების ანალიზი, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზს მათი ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი) და პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)

ექსპერტთა კომისიამ განიხილა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მომუშავე პერსონალის რეზიუმეები და დაადგინა, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. ფაკულტეტი შედგება ზოგადი ბიზნესის დარგის სპეციალისტებისგან ისეთ სფეროებში, როგორიცაა მენეჯმენტი და

ფინანსები, და შესაბამისი დამატებითი პერსონალისგან, რომელთაც აქვთ უშუალო გამოცდილება საზღვაო სფეროში. პერსონალის კვლევითი პროფილები ასევე მიუთითებს, რომ ისინი აქტიურად აქვეყნებენ შრომებს შესაბამის ჟურნალებში და ქმნიან ნაშრომებს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ეროვნულ და საერთაშორისო საზღვაო საკითხებს. ორივე პროგრამას ჰყავს თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ ამ დარგში ფართო გამოცდილება.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს [4]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**24**			
- პროფესორი	5			
- ასოცირებული პროფესორი	10			
- ასისტენტ–პროფესორი	7			
- ასისტენტი	2			
მოწვეული პერსონალი	8			–
სამეცნიერო პერსონალი	0			–
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს [5]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**24**			
- პროფესორი	4			
- ასოცირებული პროფესორი	7			

[4] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

[5] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

- ასისტენტ–პროფესორი	3			
- ასისტენტი	2			
მოწვეული პერსონალი	8			–
სამეცნიერო პერსონალი	0			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 4.1.1. „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი“;
- დანართი 4.1.2. „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი“;
- დანართი 4.1.3. „მოწვეული პედაგოგების შერჩევისა და შეფასების წესი“:
- დანართი 4.1.4. „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესები“;
- დანართი 4.1.5. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა“;
- დანართი 4.1.6. CV - საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- დანართი 4.1.7. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კომპონენტის მითითებით;
- დანართი 4.1.8. პროგრამის ხელმძღვანელის, მაგისტრატურის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები (კონტრაქტის ნიმუშები).

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულებას აქვს მკაფიო რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების კვალიფიკაციასა და დანიშვნას. ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნონ აკადემიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პირები (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი), დარგში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და/ან პრაქტიკული გამოცდილებით. ფაკულტეტი ნიშნავს ხელმძღვანელებს პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე. ასევე შესაძლებელია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლების დანიშვნა დეპარტამენტის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე. თანახელმძღვანელებად შეიძლება დაინიშნონ მოწვეული პერსონალის წევრები შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებით, იმ პირობით, რომ ძირითად ხელმძღვანელს აქვს დოქტორის ხარისხი. ხელმძღვანელები კარგად იცნობენ თავიანთ პასუხისმგებლობებს და გასაუბრებისას სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ნაშრომზე მუშაობის მთელი პროცესის განმავლობაში დიდ მხარდაჭერას გრძნობდნენ.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

		დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [6]	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**		
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 2.4.3. სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა.
- დანართი 4.2.1. ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: **არ** არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

[6] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებში მოქმედებს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და მათი პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვის რამდენიმე მექანიზმი სხვადასხვა კითხვარების გამოყენებით, მათ შორის: 1) პერსონალის შეფასება ფაკულტეტის დეკანის მიერ; 2) პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ; 3)პერსონალის შეფასება აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ; 4) პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის მიერ და; 5) პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ.

ამ ინფორმაციას აკადემია იყენებს სხვადასხვა გარე ტრენინგებისა და სემინარების დასაფინანსებლად, საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის, ასევე აკადემიური შვებულების, სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისა და კვლევითი გრანტების მოპოვებაში დახმარებისთვის. დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგები ასევე მოიცავს სესიებს სწავლებაზე და სწავლაზე.

აკადემიური პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება მოიცავს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და პროფესიულ განვითარებას, თვითშეფასებას, აკადემიური დატვირთვის შესრულებას და სასწავლო წლის საბოლოო შეჯამებულ შედეგებს. დეტალები გაწერილია "პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების პროცედურაში".

პერსონალმა კომისიას დაუდასტურა, რომ მათი შეფასება ხორციელდება ამ პროცედურის შესაბამისად და რომ მათ ეძლევათ ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა პროფესიული განვითარების აქტივობების განსახორციელებლად. თუმცა, კომისიამ აღნიშნა, რომ თავად დაწესებულება აღიარებს, რომ პროგრამაში საერთაშორისო აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა სასარგებლო იქნებოდა. კომისია აღიარებს, რომ ამის მიღწევა რთულია, მაგრამ მიიჩნევს, რომ გაცვლის ეს ფორმა ძალიან სასარგებლო იქნება აკადემიის აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართი 4.3.1. პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა;

- დანართი 4.3.2. სამეცნიერო- კვლევითი პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების მეთოდი;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია წაახალისოთ საერთაშორისო აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამებში (4.2)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): **არ** არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საბაზისო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მატერიალური რესურსები თვითშეფასების ანგარიშის, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების და შენობა-ნაგებობებისა და ობიექტების დათვალიერების საშუალებით.

დაწესებულება მიიჩნევს, რომ ბიბლიოთეკა არის საინფორმაციო წყაროებზე წვდომის ცენტრი და პასუხისმგებელია წიგნების კოლექციების, ელექტრონული რესურსების, ფონდების დაცვასა და განვითარებაზე, ასევე სხვა სერვისებზე. ბიბლიოთეკაში ინახება სამეცნიერო, მხატვრული, პოპულარული და სხვა ტიპის ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები და სამაგისტრო ნაშრომები, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდი და პერიოდული გამოცემები. საზღვაო აკადემია ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას ორ ადგილმდებარეობაზე (ბათუმისა და ფოთის ლოკაციები). შესაბამისად, 2020-2021 წლებში ფოთის ფილიალის დამატების პროცესში, აღიჭურვა ბიბლიოთეკა ფოთის ფილიალისთვის. 2019 წელს ბიბლიოთეკამ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით მიიღო წვდომა Elsevier- ის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ბიბლიოთეკის თანამშრომლების ტრენინგი სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების შესახებ. ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ცნობადობისა და გამოყენების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა პოსტერების სერია, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ბიბლიოთეკის სამეცნიერო ბაზების გამოყენებისა და სარგებლობის წესები. საინფორმაციო ვიზუალური მასალა განთავსდა ბიბლიოთეკის დარბაზსა და სასწავლო კორპუსებში. ეს ვიზუალური მასალა კვლავ ადგილზეა და კომისიამ ნახა ის შენობის დათვალიერებისას.

ბათუმის ბიბლიოთეკა შედარებით მცირე ზომისაა. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია 54 სამუშაო ადგილით, 14 კომპიუტერით, პროექტორით, საპროექციო ეკრანით, ასევე პრინტერით, ქსეროქსით, სკანერით და უფასო უკაბელო ინტერნეტით. პერსონალის სამუშაო სივრცე აღჭურვილია ინვენტარით, 6 კომპიუტერით, პრინტერით, ქსეროქსით, სკანერით და უფასო უკაბელო ინტერნეტით. დაწესებულებამ ასევე შექმნა მცირე ჯგუფის სამუშაო სივრცე 10 სამუშაო ადგილით და 2 კომპიუტერით. დაწესებულება გეგმავს ბიბლიოთეკის გაფართოებას, წინა გარე ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის რეკომენდაციის შესაბამისად, თუმცა ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა და კომისია მოუწოდებს აკადემიას შეინარჩუნოს ეს აქცენტი საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

ფოთის ფილიალიც ასევე მცირე ზომისაა, აქვს სამკითხველო დარბაზი, 14 კომპიუტერი მკითხველებისთვის, 31 მაგიდა, 60 სკამი, 1 პრინტერი, სკანერი; ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის სამუშაო სივრცე 1 ოფისით, 2 კომპიუტერით; წიგნსაცავი და მექანიკური კატალოგი. ასევე მცირე ჯგუფური სამუშაო სივრცე, 5 მაგიდით, 1 პრინტერით და 2 დაფით.

შპს "ინოვაციური სისტემების მენეჯმენტთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აკადემია იყენებს ელექტრონულ კატალოგს: Evergreen MARC 21, https://bsma.library.ac.ge/eg/opac/home, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიაში არსებული წიგნადი ფონდის ელექტრონულ კატალოგიზაციასა და ტექნიკურ მხარდაჭერას. ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკაც იყენებს იმავე სისტემის ელექტრონულ კატალოგს, როგორც მისი ფილიალი, რომელიც ასევე განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე, ერთიან ელექტრონულ კატალოგში EVERGREEN https://bsma.library.ac.ge/eg/opac/home.
ლიტერატურის შეძენა ხორციელდება შესყიდვების სამსახურის, ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების (საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის), საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების ცენტრების მიერ და მკითხველის მოთხოვნით.

საზღვაო აკადემიის ორ ლოკაციაზე (ბათუმი და ფოთი) არსებული სასწავლო ოთახები ტექნიკურად აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებითა და საპრეზენტაციო აღჭურვილობით (პროექტორები, სმარტ დაფები). ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია ინტერნეტთან დაკავშირებული პერსონალური კომპიუტერებით და აქვს თავისუფალი წვდომა პრინტერებსა და სხვა ტექნიკურ მოწყობილობებზე. ყველა კომპიუტერი დაკავშირებულია სერვერებთან და აკადემიის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა აღჭურვილია თანამედროვე სისტემებით, რომელთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილია სპეციალიზებული ქსელური მოწყობილობებითა და ანტივირუსული პროგრამული ელემენტებით. შენობის დათვალიერებისას კომისიამ ნახა ახლად შეძენილი სმარტ დაფები, რომლებიც დამონტაჟების პროცესში იყო, რაც ადასტურებს ინფრასტრუქტურაში დამატებით ინვესტიციას.

საბიბლიოთეკო კატალოგის გარდა, აკადემია იყენებს სხვადასხვა ონლაინ სისტემებს, მათ შორის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სასწავლო პროცესის მართვის მოდულს, რომელიც მოიცავს აკადემიურ რეგისტრაციას (სასწავლო კურსები), შეფასებებს, განრიგებსა და კალენდრებს, სილაბუსებს, სასწავლო გეგმებს, სემესტრულ ანგარიშებს (დაგროვილი კრედიტები, სემესტრის GPA, სტუდენტის სტატუსები, მასწავლებლის სემესტრული დატვირთვის მაჩვენებლები, აკადემიური მოსწრება და ა.შ.); სტუდენტების პირად საქმეებს, საინფორმაციო დაფას (სიახლეები, განცხადებები, ტრენინგები/ კონფერენციები). ასევე ფინანსურ სერვისს, რომელიც საშუალებას იძლევა დისტანციურად განხორციელდეს ინდივიდუალური სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკები, გრანტები, განცხადებების, შეტყობინებების ბეჭდვა და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 4.4.1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

- დანართი 4.4.2. წიგნადი ფონდის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დანართი 4.4.3. ელექტრონული ბიბლიოთეკის საერთაშორისო ქსელში ჩართვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დანართი 4.4.4. საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები;
- დანართი 4.4.5. ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია გაგრძელდეს მუშაობა ქართულენოვანი სასწავლო რესურსების გაზრდის მიმართულებით. (4.4)
- სასურველია დაასრულოთ ბათუმის კორპუსში ბიბლიოთეკის გაფართოება (4.4)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიის ბიუჯეტი დგება კონსოლიდირებული ფორმით კანონმდებლობით განსაზღვრული საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით, სადაც ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მოთხოვნები გათვალისწინებულია ყველა მუხლში აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად, რაც ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფასა და მდგრადობას. კომისიამ მოისმინა დაწესებულებისგან ბიუჯეტის შედგენის შიდა პროცესში განხორციელებული ცვლილებების შესახებ და პერსონალმა დაადასტურა, რომ ეს ეფექტურად მუშაობს. კომისიამ შეისწავლა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ბიუჯეტი, რომელმაც გამოავლინა შემდეგი:

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

2024 წლისთვის, პროგრამის ბიუჯეტი წელიწადში 100 სტუდენტს (4 ჯგუფი) და ჯამში 300 ჩარიცხულ სტუდენტს პროგნოზირებს. სწავლის საფასური განსაზღვრულია 2250 ლარით, რაც მთლიანი შემოსავლის 1350000 ლარს შეადგენს. პროგნოზის მიხედვით, ხარჯები შეადგენს 1231950 ლარს, რის შემდეგაც რჩება მცირე თანხა 118050 ლარი. ბიუჯეტის მუხლები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მოიცავს: 1)ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანაზღაურებას; 2) აკადემიური და საათობრივად მოწვეული პერსონალის ანაზღაურებას; 3) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მივლინებებს; 4)საოფისე ხარჯებს; 5) წარმომადგენლობით ხარჯებს; 6) სხვა ხარჯებს (მოიცავს სტაჟირების და სხვა კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების დაფინანსების ხარჯებს, ასევე სტუდენტთა სწავლებისა და სტიპენდიების ხარჯების დაფინანსებას) და 7) არაფინანსურ აქტივებს (მატერიალურ- ტექნიკური ბაზის განახლება და გაუმჯობესება).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა)

2024 წლისთვის, პროგრამის ბიუჯეტი წელიწადში 20 სტუდენტს და ჯამში 40 ჩარიცხულ სტუდენტს პროგნოზირებს. სწავლის საფასური განსაზღვრულია 2250 ლარით, რაც მთლიანი შემოსავლის 1350000 ლარს შეადგენს. პროგნოზის მიხედვით, ხარჯები შეადგენს 124100 ლარს, რის შემდეგაც რჩება მცირე თანხა 118050 ლარი. ბიუჯეტის მუხლები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მოიცავს: 1) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანაზღაურებას; 2) აკადემიური და საათობრივად მოწვეული პერსონალის ანაზღაურებას; 3) ფაკულტეტის

აკადემიური პერსონალის მივლინებებს; 4) საოფისე ხარჯებს; 5) წარმომადგენლობით ხარჯებს; 6) სხვა ხარჯებს (მოიცავს სტაჟირების და სხვა კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების დაფინანსების ხარჯებს, ასევე სტუდენტთა სწავლებისა და სტიპენდიების ხარჯების დაფინანსებას) და 7) არაფინანსურ აქტივებს (მატერიალურ- ტექნიკური ბაზის განახლება და გაუმჯობესება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 4.5.1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- დანართი 4.5.2. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც ჩართულია და კოორდინირებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და მოდიფიცირების პროცესებს.

აკადემიაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს შორის გამოვლინდა შემდეგი: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების მექანიზმები; საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ფუნქციაა საზღვაო აკადემიაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის, პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასება, სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მართვის ეფექტურობის მონიტორინგი. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში არსებობს სტრუქტურული ერთეული - ISO სტანდარტებთან შესაბამისობის ოფისი, რომელიც ასევე ეხმარება უნივერსიტეტს ჰქონდეს უფრო სტანდარტიზებული და ორგანიზებული ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მუშაობს უნივერსიტეტის ზოგადი PDCA პრინციპის მიხედვით: P (plan) - დაგეგმვა; D (do) - განხორციელება; C (check) - შემოწმება; A

(act) - რეაგირება; ეს გულისხმობს უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. პროგრამა მტკიცდება ეტაპობრივად: პროგრამა განიხილება პროგრამის კომიტეტის სხდომაზე; პროგრამის პროექტს მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და იგი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

უნივერსიტეტმა განაახლა საბაკალავრო პროგრამა, რომელიც იქნება 180 ECTS კრედიტიანი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (სხვადასხვა პროგრამიდან), დამსაქმებლები იცნობდნენ პროგრამის შინაარსს. ეს გულისხმობს, რომ პროგრამის შემუშავება და მომზადება იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართული იყვნენ აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. აღსანიშნავია, რომ ანგარიშის სხვა ნაწილში კომისიამ გამოავლინა სტუდენტთა მონაწილეობის გაძლიერების პოტენციალი კონკრეტულად პროგრამის განვითარებაში. ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებმა და დამსაქმებლებმა აღწერეს, თუ როგორ სთხოვა მათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამოეთქვათ საკუთარი აზრი პროგრამის განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ორივე ჯგუფმა ექსპერტთა ჯგუფს მოუყვანა მაგალითები პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების სურვილთან დაკავშირებით. მაგალითად, დამსაქმებლებმა დაასახელეს ციფრული მარკეტინგი, როგორც სასურველი საგანი და ეს უნივერსიტეტმაც დაადასტურა. ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი იყო, რომ პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამის განვითარების გუნდმა აღწერა, რომ ზემოხსენებული სამსახური ყოველთვის უჭერდა მათ მხარს პროგრამის მოდიფიცირების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმები და პროცედურები შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით;
- სახელმძღვანელო ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დაინტერესებულ პირთათვის;
- სერვისის მონიტორინგის პროცესის პროცედურა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ავტორიზაცია და აკრედიტაცია ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, როგორც შესაბამისი გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ. უნივერსიტეტი გამოიყენებს შეფასების დროს მიღებულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია გაითვალისწინოს აკრედიტებულ პროგრამებზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციები, შენიშვნები და მითითებები და წარუდგინოს ისინი განსახილველად ფაკულტეტისა და აკადემიის მართვის ორგანოებს. ასევე უზრუნველყოს ნებისმიერი მიღებული გადაწყვეტილების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. აკადემიაში განხორციელებული ყველა პროგრამა შემუშავებული და განხორციელებულია გარე შეფასების შედეგების გათვალისწინებით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ასევე შეაფასეს დარგის ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა. აკადემიამ წარმოადგინა გარე შეფასების შედეგები და ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ანგარიშებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პარტნიორი სკოლების მიერ;
- პარტნიორი სკოლების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ანალიზის შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებისთვის, ასევე მისი ხარისხის გაუმჯობესებისთვის გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი, როგორიცაა გამოკითხვები, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი, შიდა კოლეგიალური შეფასება და პროგრამის შედარება მის ანალოგებთან. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების პროცესი ეფუძნება შემდეგ ძირითად მონაწილეებს:

ა) სტუდენტები

ბ) აკადემიური და მოწვეული პერსონალი

გ) პოტენციური დამსაქმებლები

დ) პროგრამის კურსდამთავრებულები.

თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტსა და ექსპერტთა პანელთან გასაუბრებების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ყველა მონაწილე ჩართული იყო და იცნობდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პრინციპებს. აკადემია აღიარებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მიმართ დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი. დაწესებულება ატარებს ე.წ. "დასაქმების ფორუმებს", რაც საზღვაო სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს გაუზიარონ ერთმანეთს დარგის სიახლეები, მოთხოვნები, გამოწვევები და საჭიროებები.

სტუდენტები მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში უკუკავშირის კითხვარების შევსებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა პროგრამის განხორციელების შეფასებაში მოიცავს მონაწილეობას პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ განხილვებში. პოტენციური დამსაქმებლები ასევე აფასებენ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, მათ კვალიფიკაციასა და კომპეტენციებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი უნარების დონის გათვალისწინებით. კერძოდ, ისინი აფასებენ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების თეორიულ ცოდნასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას. კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამას კითხვარების საშუალებით. აკადემიას აქვს წარსული შეფასებების ბევრი მონაცემი, ამიტომ სასურველია აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ინტენსიურად გამოიყენოს ეს მონაცემები. მაგალითად, ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს, აკადემიურმა პერსონალმა კარგად არ იცოდა პროგრამის შედარებითი

ანალიზის შედეგების შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ როგორ განისაზღვრება ECTS კრედიტები მათი ინდივიდუალური კურსებისთვის.

უნივერსიტეტი ატარებს დამსაქმებელთა გამოკითხვას, რომლის მიზანიცაა პროგრამის შექმნა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, რითაც უმჯობესდება პროგრამა და, საბოლოო ჯამში, მზადდება შრომის ბაზრისთვის მზად მყოფი კურსდამთავრებულები. დამსაქმებელთა მოსაზრებები და მათი გამოკითხვები მხედველობაში მიიღება მათი პროგრამის კომიტეტში ჩართულობის გზით.

პროგრამების გაუმჯობესების პროცესში საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინების მიზნით, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შეადარეს სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პარტნიორი სკოლების მიერ;
- პარტნიორი სკოლების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ანალიზის შედეგები.
- ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ანგარიშები სასწავლო დარგის პროგრამებთან დაკავშირებით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: პროგრამების სამიზნე ნიშნულების შეფასების და ანალიზის შედეგების შესახებ დაინტერესებული მხარეების ცოდნის გაღრმავების მიზნით, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის მონაცემების უფრო ინტენსიურად გამოყენება. (5,3)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☑	☐	☐	☐

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	☑	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დასახელება, დონე)	☑	☐	☐	☐
პროგრამა 2 (დასახელება, დონე)	☑	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მეთიუ კიჩინგი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიორგი გაბედავა,

დავით სიხარულიძე,

ანი ქვათაძე,

ანა მჭედლიშვილი